

შპს „აე სოლარ“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი:

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6-14

შპს „აე სოლარ“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარში)

		31-12-21	31-12-20
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	162,404	475,513
არამატერიალური აქტივი	4	27,832	29,707
		190,237	505,220
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	5	79,945	144,992
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	553,835	436,844
მარაგები	7	1,883	1,724
		635,663	583,561
მთლიანი აქტივები		825,899	1,088,781
მთლიანი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		757,482	555,411
		757,482	555,411
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	8	-	360
		-	360
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	8	360	187,456
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	64,166	241,898
საგადასახადო ვალდებულებები		3,892	103,655
		68,418	533,009
მთლიანი ვალდებულებები		68,418	533,369
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		825,899	1,088,781

დირექტორი

შოთა გოგია

14 სექტემბერი, 2022

თბილისი, საქართველო

შენიშვნები 6-14 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს

შპს „აე სოლარ“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარში)

		31-12-21	31-12-20
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	162,404	475,513
არამატერიალური აქტივი	4	27,832	29,707
		190,237	505,220
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	5	79,945	144,992
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	553,835	436,844
მარაგები	7	1,883	1,724
		635,663	583,561
მთლიანი აქტივები		825,899	1,088,781
მთლიანი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		757,482	555,411
		757,482	555,411
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	8	-	360
		-	360
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	8	360	187,456
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	64,166	241,898
საგადასახადო ვალდებულებები		3,892	103,655
		68,418	533,009
მთლიანი ვალდებულებები		68,418	533,369
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		825,899	1,088,781



დირექტორი

შოთა გოგია

14 სექტემბერი, 2022

თბილისი, საქართველო

შენიშვნები 6-14 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს

შპს „აე სოლარ“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარში)

		2021	2020
ამონაგები	10	2,051,191	1,746,896
საერთო მოგება		2,051,191	1,746,896
სხვა შემოსავლები	11	-	9,274
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	12	(1,652,587)	(1,499,635)
მიწოდების დანახარჯები	13	(103,319)	(48,114)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	14	(13,313)	(61,987)
სხვა ხარჯები	15	(214,011)	(24,131)
საოპერაციო მოგება		67,961	122,303
ფინანსური ხარჯი	15	(18,059)	(28,453)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(18,059)	(28,453)
მოგება დაბეგვრამდე		49,902	93,851
მოგების გადასახადის ხარჯი		(173)	-
წმინდა მოგება		49,729	93,851
სხვა სრული შემოსავალი:			
მთლიანი სრული შემოსავალი		49,729	93,851

დირექტორი

შოთა გოგია

14 სექტემბერი, 2022

თბილისი, საქართველო

შენიშვნები 6-14 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს

შპს „აე სოლარ“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარში)

		2021	2020
ამონაგები	10	2,051,191	1,746,896
საერთო მოგება		2,051,191	1,746,896
სხვა შემოსავლები	11	-	9,274
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	12	(1,652,587)	(1,499,635)
მიწოდების დანახარჯები	13	(103,319)	(48,114)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	14	(13,313)	(61,987)
სხვა ხარჯები	15	(214,011)	(24,131)
საოპერაციო მოგება		67,961	122,303
ფინანსური ხარჯი	15	(18,059)	(28,453)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(18,059)	(28,453)
მოგება დაბეგრამდე		49,902	93,851
მოგების გადასახადის ხარჯი		(173)	-
წმინდა მოგება		49,729	93,851
სხვა სრული შემოსავალი:			
მთლიანი სრული შემოსავალი		49,729	93,851

დირექტორი
შოთა გოგია



14 სექტემბერი, 2022

თბილისი, საქართველო

შენიშვნები 6-14 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს

შპს „აე სოლარ“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2020 წლის 1 იანვარი	-	461,560	461,560
წმინდა მოგება	-	93,851	93,851
პერიოდის სრული შემოსავალი	-	93,851	93,851
2020 წლის 31 დეკემბერი	-	555,411	555,411
წინა პერიოდის ცვლილება		152,341	152,341
წმინდა მოგება	-	49,729	49,729
2021 წლის 31 დეკემბერი	-	757,482	757,482

ხელმოწერი პირები:

დირექტორი

შოთა გოგია

14 სექტემბერი , 2022

თბილისი, საქართველო

შენიშვნები 6-14 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს

შპს „აე სოლარ“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2020 წლის 1 იანვარი	-	461,560	461,560
წმინდა მოგება	-	93,851	93,851
პერიოდის სრული შემოსავალი	-	93,851	93,851
2020 წლის 31 დეკემბერი	-	555,411	555,411
წინა პერიოდის ცვლილება		152,341	152,341
წმინდა მოგება	-	49,729	49,729
2021 წლის 31 დეკემბერი	-	757,482	757,482

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი

შოთა გოგია



14 სექტემბერი, 2022

თბილისი, საქართველო

შენიშვნები 6-14 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „აე სოლარ“-ი დაარსდა და დარეგისტრირდა საგადასახადო ორგანოში 2017 წლის 23 აგვისტოს. ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის, ალექსანდერ მაიერ(CGPFLLMPCN /გერმანია) წარმოადგენს კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელს.

კომპანიის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს, მარკეტინგული და პიარ მომსახურება AE Solar-ის პროდუქტებისთვის, ასევე გლობალური პოზიციონირება, სტრატეგიების შექმნა-დანერგვა ბრენდის პრიორიტეტულ ქვეყნებში, გამოფენების ორგანიზება და მართვა.

კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს თბილისში.

კომპანიის იურიდიული მისამართია:

საქართველო, ქალაქი თბილისი, საბურთალოს რაიონი, ლვოვის ქუჩა, შესახვევი 2, #13.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოს არსებული სავალუტო კურსები, რომელიც კომპანიამ გამოიყენა ანგარიშგების მომზადებისას.

	31/12/2021	31/12/2020
1 აშშ დოლარი/ ლარი	3.0976	3.2766
1 ევრო/ლარი	3.504	4.0233

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზის მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას. კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას მომზადებისას იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული „ბრძანება №6“-ში მოცემულ მე-3 კატეგორიის საწარმოებისთვის განკუთვნილ შეღავათს და არ წარადგენს ფულადი ნაკადების ანგარიშგებას.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დაშვებით, რომ კომპანია არის ფუნქციონირებადი საწარმო და გააგრძელებს მოღვაწეობას მომავალში. ხელმძღვანელობას განზრახული არ აქვს მისი ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა და არც იძულებული არ არის. კომპანიის საანგარიშო პერიოდი კალენდარული წელია 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას წარადგენს წელიწადში ერთხელ. კომპანიის მიერ წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2021 წლის დასაწყისისთვის და დასასრულისთვის, 2021 წლის სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას, შესაბამის განმარტებით შენიშვნებს.

ფუნქციონირებადი საწარმო

წინასწარი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე. მენეჯმენტის შეფასებით, კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებად საწარმოდ საქმიანობას, რეალიზებას გაუკეთებს აქტივებს და დაფარავს ვალდებულებებს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფული და ფულის ქვივალენტები

ფული და ფულის ქვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები წამოიქმნება მომხმარებლისათვის პროდუქციის მიწოდების ან მომსახურების გაწევისას. კომპანია სავაჭრო მოთხოვნებს აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში ვალდებულება წარსდგება როგორც გრძელვადიანი. სავაჭრო მოთხოვნა საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით. თუ მარაგები გაუფასურდა, მისი საბალანსო ღირებულება მცირდება მის გასაყიდ ფასს გამოკლებული მისი დასრულებისა და გაყიდვისათვის გამზადების ხარჯი. გაუფასურების ზარალი მაშინათვე აღიარდება მოგება-ზარალზე.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. სესხების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აღიარდება ფინანსურ ხარჯად.

სესხები კლასიფიცირდება მიმდინარე ვალდებულებად, იქამდე სანამ, საწარმოს არ გააჩნია ვალდებულებების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება საანგარიშო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს პროდუქციისა და მომსახურების შესყიდვის შედეგად წარმოქმნილ ვალდებულებას მომწოდებლის წინაშე. კომპანია ვალდებულებას აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში ვალდებულება წარსდგება როგორც გრძელვადიანი. სავაჭრო ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ამონაგები

ამონაგები მოიცავს, პროდუქციის რეალიზაციიდან და მომსახურების გაწევიდან მიღებულ შემოსავლებს, როცა დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები: კომპანია მყიდველს გადასცემს პროდუქციის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს, არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს. შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება მისი შესყიდვის ფასის, საიმპორტო ბაჟისა და დაუბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობისა და შეღავათის გარეშე. ნებისმიერ დახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული ამოცანების მიზნებისათვის აქტივის გამოსაყენებლად.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

აქტივის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე მაშინვე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო აღდგენით ღირებულებას.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელ. ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში

ცვეთა

კომპანია არ ფლობს მიწას. ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით, რათა მოხდეს მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში:

სასარგებლო გამოყენების ვადა (წელი)

მანქანა დანადგარები	3-10
ავეჯი და ინვენტარი	1-5
სატრანსპორტო საშუალებები	3-5

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მოსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების განსაზღვრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების ვადების შესაბამისად. კომპანიის არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა არის 10 წელი.

კომპანია, როგორც მოიჯარე

საოპერაციო იჯარის გადახდები აღირიცხება შესაბამისი პერიოდის საოპერაციო ხარჯებად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოდგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადამინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული საგადასახადო შემოსავალი აღარ არის შესაბამისი ფინანსურ ანგარიშგებისთვის განახლებული საგადასახადო კოდექსის გამო.

წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარგადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

ხელფასები, ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებას მომავალ პერიოდში.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

3. ძირითადი საშუალებები

	მანქანა- დანადგარები	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
31 დეკემბერი 2020	240,249	369,529	21,934	631,712
შემოსვლა	-	2,245	-	2,245
გასვლა	-	-	-	-
31 დეკემბერი 2021	240,249	371,774	21,934	633,957
ცვეთა და გაუფასურება				
31 დეკემბერი 2020	(51,153)	(100,071)	(4,976)	(156,199)
პერიოდის ცვეთა	-	(13,498)	(764)	(14,262)
გაუფასურება	-	-	-	-
გასვლა	(189,096)	(111,995)	-	(301,091)
31 დეკემბერი 2021	(240,249)	(225,564)	(5,740)	(471,553)
წმინდა საბალანსო ღირებულება				
31 დეკემბერი 2020	189,096	269,458	16,959	475,513
31 დეკემბერი 2021	-	146,210	16,194	162,404

4. არამერიალური აქტივები

	არამატერიალური აქტივი	სულ
31 დეკემბერი 2020	37,177	37,177
შემოსვლა	-	-
გასვლა	-	-
31 დეკემბერი 2021	37,177	37,177
ცვეთა და გაუფასურება		
31 დეკემბერი 2020	(7,470)	(7,470)
პერიოდის ცვეთა	(1,875)	(1,875)
გასვლა	-	-
31 დეკემბერი 2021	(9,345)	(9,345)
წმინდა საბალანსო ღირებულება		
31 დეკემბერი 2020	29,707	29,707
31 დეკემბერი 2021	27,832	27,832

5. ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2021 წლის 31 დეკემბრით მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	12/31/2021	12/31/2020
ეროვნული ვალუტა ბანკში	1,480	13,337
უცხოური ვალუტა ბანკში	78,465	131,655
სულ	79,945	144,992

6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	12/31/2021	12/31/2020
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	370,160	329,941
გადახდილი ავანსები	183,675	106,903
სულ	553,835	436,844

7. მარაგები

მარაგები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	12/31/2021	12/31/2020
სხვა მარაგები	1,883	1,724
სულ	1,883	1,724

8. სესხები

სესხები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	12/31/2021	12/31/2020
გრძელვადიანი		
ფინანსური იჯარის ვალდებულება (გრძელვადიანი ნაწილი)	-	360
სულ სესხები	-	360

მოკლევადიანი

ფინანსური იჯარის ვალდებულება (მოკლევადიანი ნაწილი)	360	187,456
	360	187,456
სულ სესხები	360	187,816

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

შპს „აე სოლარ“
განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ლარში)

	12/31/2021	12/31/2020
სავაჭრო ვალდებულებები	64,166	241,898
სულ	64,166	241,898

10. ამონაგები

ამონაგები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ამონაგები	2021	2020
მომსახურების გაწევა	2,051,191	1,746,896
სულ	2,051,191	1,746,896

11. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021	2020
არასაოპერაციო მოგება	-	9,274
სულ	-	9,274

12. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021	2020
შრომის ანაზღაურება	(1,313,541)	(1,010,639)
მივლინების ხარჯები	(12,734)	(33,164)
სხვა ხარჯი	(39,537)	(64,752)
საწვავი	(12,326)	(17,700)
იჯარის ხარჯი	(96,867)	(134,131)
ოფისის ხარჯი	(41,297)	(37,063)
კომუნალური ხარჯები	(11,400)	(8,658)
კომუნიკაციის ხარჯები	(8,993)	(14,924)
დაზღვევის ხარჯი	(8,117)	-
რემონტი	(3,380)	(5,392)
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	(61,861)	(90,407)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	(42,534)	(82,804)
სულ	(1,652,587)	(1,499,635)

13. მიწოდების ხარჯები

მიწოდების ხარჯები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

შპს „აე სოლარ“
 განმარტებითი შენიშვნები
 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ლარში)

	2021	2020
რეკლამის ხარჯი	(22,177)	(30,909)
მარკეტინგული ხარჯი	(81,142)	(17,206)
სულ	(103,319)	(48,114)

14. სხვა შემოსულობა/(ზარალი)-ნეტო

სხვა შემოსულობა/(ზარალი)-ნეტო ხარჯი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021	2020
საკურსო სხვაობით მიღებული საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	(13,313)	(61,987)
სულ	(13,313)	(61,987)

15. ფინანსური შემოსავალი და ხარჯი

ფინანსური ხარჯი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

<i>ფინანსური ხარჯი</i>	2021	2020
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ ვალდებულებებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	(18,059)	(28,453)
სულ ფინანსური დანახარჯები	(18,059)	(28,453)
ნეტო ფინანსური დანახარჯები	(18,059)	(28,453)

16. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

	2021	2020
შრომის ანაზღაურება მთლიანად	126983	64306
სულ	126983	64306

17. ფინანსური ანგარიშგების დამკიცება

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია მფლობელის მიერ 2022 წლის 14 სექტემბერს.

18. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2022 წლის 24 თებერვალს, რუსეთ-უკრაინის საზღვრის მახლობლად რუსული სამხედრო ძალების მნიშვნელოვანი გაძლიერების შემდეგ, რუსმა ჯარებმა გადაკვეთეს საზღვარი. საერთაშორისო დონეზე განხილული ომის აგრესია და შეჭრა არის ყველაზე დიდი სამხედრო თავდასხმა ევროპულ სახელმწიფოზე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. აღნიშნულმა ომმა ევროპაში ყველაზე მასშტაბური ლტოლვილთა კრიზისი გამოიწვია, 3.7 მილიონზე მეტმა უკრაინელმა დატოვა ქვეყანა და

მილიონობით ადამიანმა მიატოვა თავისი სახლი. უკრაინაში ომის შედეგად ბევრმა წამყვანმა ქვეყანამ და ეკონომიკურმა გაერთიანებამ რუსეთს მკაცრი ეკონომიკური სანქციები დაუწესეს. ხელმძღვანელობა უკრაინის ომს არაკორექტირებულ საბალანსო უწყისის შედგენის შემდგომ მოვლენად მიიჩნევს. ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ აღნიშნული არ მოახდენს თვალსაჩინო გავლენას კომპანიის საქმიანობაზე. იმის გამო, რომ ომი ჯერ კიდევ მიმდინარეობს, შეუძლებელია სარწმუნოდ შეფასდეს სრული გავლენა, რომელიც შეიძლება მოახდინოს კომპანიაზე, რადგან ბუნდოვანია ზოგადად ეკონომიკაზე ზემოქმედების მასშტაბი. ხელმძღვანელობა ყურადღებით აკვირდება არსებულ ეკონომიკურ სიტუაციას.